

საქართველოს კანონი

„ამნისტიის შესახებ“

საქართველოს სახელმწიფო, ჰუმანიზმის პრინციპიდან გამომდინარე, ერთჯერადი დროებითი და განსაკუთრებული ღონისძიების სახით, საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის გათვალისწინებით, ამ კანონის საფუძველზე, ამცირებს თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნულ სასჯელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 41(48), 1999 წელი, მუხ.209) გათვალისწინებულ დანაშაულებში, ეჭვიტანილ, ბრალდებულ, განსასჯელ და მსჯავრდებულ პირთათვის, რომლებმაც შესაბამისი დანაშაულები ჩაიდინეს 2009 წლის 15 ოქტომბრამდე.

მუხლი 1.

1. გაუნახევრდეთ თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით მსჯავრდებულ პირებს, რომლებმაც ჩაიდინეს ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო შექმნა, შენახვა ან გადაზიდვა.

2. გაუნახევრდეთ თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით მსჯავრდებულ პირებს.

3. გაუნახევრდეთ თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის მოსახდელი ნაწილი, იმ პირებს, რომელთა მიმართაც ამ კანონის მიღების დროისთვის მიმდინარეობს სისხლისსამართლებრივი დევნა ან სასამართლო განხილვა, ამ მუხლის პირველი და მეორე პუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულებთან დაკავშირებით, თუ განაჩენით მათ სასჯელის სახედ განესაზღვრებათ თავისუფლების აღკვეთა.

მუხლი 2.

1. ამ კანონის საფუძველზე არ ხდება დამატებითი სასჯელების შემცირება.

2. ამ კანონის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნულ სასჯელზე.

3. ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია არ ვრცელდება პირობითი მსჯავრის სახით დადგენილ გამოსაცდელ ვადაზე.

მუხლი 3.

ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული ამნისტია ვრცელდება მხოლოდ იმ პირებზე, რომლებმაც შესაბამისი დანაშაულები ჩაიდინეს 2009 წლის 15 ოქტომბრამდე.

მუხლი 4.

1. სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელი ორგანოები, ამ კანონით გათვალისწინებულ ამნისტიის საკითხებზე საპროცესო გადაწყვეტილებებს იღებენ ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის და მსჯავრდებულის თანხმობის გარეშე.

2. ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტიის გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილებას, ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელისა და იმ მსჯავრდებულის მიმართ, რომლის მიმართაც სამართალწარმოება არ დასრულებულა, იღებს შესაბამისი სასამართლო. სასამართლო უფლებამოსილია ამ პუნქტით გათვალისწინებული საკითხი განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე.

3. ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტიის გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილებას იმ მსჯავრდებულის მიმართ, რომლის მიმართაც სამართალწარმოება დასრულებულია, ზეპირი მოსმენის გარეშე, ერთჯერადად იღებს თავდაპირველი გადაწყვეტილების გამომტანი შესაბამისი რაიონული (საქალაქო) სასამართლო, რომელსაც ამ კანონის ამოქმედებიდან 1 კვირის ვადაში მსჯავრდებულის პირად საქმეს უგზავნის სასჯელადსრულების, პრობაციისა და

იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს შესაბამისი დაწესებულება.

მუხლი 5.

1. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
2. ეს კანონი შესრულდეს გამოქვეყნებიდან 2 თვის ვადაში, გარდა პირველი მუხლის მე-3 პუნქტისა.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი